საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

განხილულია აკადემიურ საბჭოს სხდომაზე
ოქმი #11 24.02.2017 წ.

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე
ოქმი #3 10.03.2017 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგნელობითი საბჭოს სხდომაზე
ოქმი #13 21. 09.2018 წ.

ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი #4 19. 02. 2025 წ.

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგნელობითი საბჭოს სხდომაზე
ოქმი #2 19. 02.2025 წ.

თელავი 2017

# სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1.1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შედგომში უნივერსიტეტი) - წინამდებარე დებულებით მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენის, ამაღლებისა და გაძლიერებისათვის;

1.2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შიდასაუნივერსიტეტო მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების (შემდგომში „პროექტი") წარდგენის, განხილვის, დამტკიცებისა და მონიტორინგის საერთო წესს.

**მუხლი 2. გრანტის მიზანი**

2.1. გრანტის მიზანია ფუნდამენტური და გამოყენებითი თანამედროვე ინოვაციური სამეცნიერო-კვლევითი (დარგობრივი ან/და ინტერდისციპლინური) პროექტების/ კვლევების განხორციელების ხელშეწყობა, ფინანსური უზრუნველყოფა, პოპულარიზაცია და სასწავლო პროცესში ინტეგრირება, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენას, ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვასა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას; კომერციალიზაციას; სამეცნიერო კონტაქტების დამყარებას ქართველ და უცხოელ მკვლევრებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან, წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან, ბიზნეს სექტორთან და სხვა.

*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

**მუხლი 3. პროექტის პერსონალი**

3.1. პროექტში მონაწილეობის უფლება აქვთ:

- ✓ უნივერსიტეტის პროფესორს, ასოცირებულ ან ასისტენტ-პროფესორს; ასისტენტს; ასევე, უნივერსიტეტში დასაქმებულ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პერსონალს;
- ✓ უნივერსიტეტის დოქტორანტ(ებ)ს; მაგისტრანტ(ებ)სა და ბაკალავრიატის სტუდენტებს;
- ✓ აგრეთვე, საქართველოსა და უცხოეთის სხვა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლებს, თუ ამ დაწესებულებასთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება/მემორანდუმი თანამშრომლობისა და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების შესახებ (მათი საერთო რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ჯგუფის წევრთა საერთო რაოდენობის მეოთხედს);

3.2. პროექტს უნდა ჰყავდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის თანამშრომელი, რომელიც წარმართავს პროექტის მიმდინარეობას. სამეცნიერო ხელმძღვანელი პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ასევე, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;

3.3. თითოეულ პროექტში სავალდებულოა უნივერსიტეტის სტუდენტ(ებ)ის ჩართულობა. ამასთან, ინტერდისციპლინური სამეცნიერო–კვლევითი პროექტებისათვის სავალდებულოა პროექტში მონაწილე თითოეული ფაკულტეტიდან/დეპარტამენტიდან არანაკლებ 1 (ერთი) სტუდენტის ან/და არანაკლებ 1 (ერთი) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირის ჩართულობა;

*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

3.4. საგრანტო პროექტის მონაწილე ფიზიკური პირი არის ძირითადი ან დამხმარე პერსონალი. ძირითადი პერსონალი ასრულებს პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს, ხოლო დამხმარე პერსონალი ეხმარება ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში;

3.5. ძირითად პერსონალს შეიძლება მიეკუთვნებოდნენ: დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირ(ებ)ი; დოქტორანტი, მაგისტრანტი, მაგისტრი.
პროექტის დამხმარე პერსონალი შეიძლება იყოს ბაკალავირიატის სტუდენტ(ებ)ი და უნივერსიტეტში დასაქმებული ან დროებით მოწვეული სხვა პირ(ებ)ი;

3.6. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება ერთდროულად მონაწილეობდეს უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ ორზე მეტ სამეცნიერო პროექტში;
*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

3.7. პროექტის თავდაპირველ მონაწილესთან შრომითი ურთიერთობის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უფლებამოსილია, წარუდგინოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე სხვა მონაწილის კანდიდატურა რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (მისი კომპეტენციის შესაბამისად). ახალი კანდიდატურის დასაქმებაზე თანხმობის შემთხვევაში, მასთან ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

**მუხლი 4. გრანტით დაფინანსების ძირითადი პრინციპები**

4.1. დაფინანსების პირობები და პროცედურები მაქსიმალურად გამჭვირვალე და სამართლიანია, რაც უზრუნველყოფს მკვლევართათვის დაფინანსების ხელმისაწვდომობას;

4.2. უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, არსებული ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ბიუჯეტისა და საუნივერსიტეტო პრიორიტეტების გათვალისწინებით, ბიუჯეტის დამტკიცებისას, იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო პროექტების დაფინანსებისათვის თანხის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

4.3. **დაფინანსების წყაროები და ადმინისტრირება:**

- ✓ პროექტები ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან და მოზიდული თანხებიდან (გრანტები, შემოწირულობები და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლები).
- ✓ პროექტი, სასურველია, ითვალისწინებდეს თანადაფინასებას; თანადამფინანსებელი შესაძლოა იყოს, როგორც მონაწილე მხარე, ასევე, სხვა საერთაშორისო/ადგილობრივი ორგანიზაცია ან კერძო დამფინანსებელი.
- ✓ პროექტი თანადაფინანსებულად ჩაითველება, თუ იგი ითვალისწინებს პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 15%-ს.

  *(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

- ✓ პროექტების ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები.

4.4. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება რჩება უნივერსიტეტის განკარგულებაში.

**მუხლი 5. დაფინანსებისათვის გასავლელი ეტაპები**

5.1. საგრანტო დაფინანსების ძირითადი ეტაპებია:

ა) აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსის გამოცხადება;

ბ) განაცხადის წარდგენა აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის (რექტორის) სახელზე;

გ) აკადემიური საბჭოს მიერ დასაფინანსებელი პროექტების დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა; პრეზენტაციების მოსმენა; რექტორის ბრძანებით მოწვეული დარგობრივი გარე ექსპერტ(ებ)ისათვის შესაფასებლად გადაცემა (დანართი1.); ექსპერტთა ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

**დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა:**

- ➢ პროექტმა მიიღოს მაქსიმალური **70** ქულიდან მინიმუმ 51 ან მეტი ქულა;
- ➢ პროექტი ითვალისწინებდეს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის

გამოქვეყნებას რეფერირებად/რეცენზირებად (Peer-reviewed), DOI მინიჭებულ, საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში **(Scopus, Thomson Reuters/Clarivate Analytics; ERIH PLUS; EBSCO; Copernicus; Web of Science);** აგრეთვე **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოცემებში: „მოამბე"/„მაცნე");**

*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

კონკურსის შემთხვევაში დაფინანსებისათვის უპირატესობა მიენიჭება თანადაფინანსებას ან/და ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს; ინტერნაციონალიზაციის / კომერციალიზაციის შესაძლებლობას/გათვალისწინებას და რეგიონის საჭიროებებზე მორგებას.

*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

დ) წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დასაფინანსებლად წარდგენილი პროექტების დამტკიცება;

ე) პროექტ(ებ)ის ძირითად და დამხმარე პერსონალთან საგრანტო ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება;

5.2. 5.1.-ის „გ", „დ" და „ე" პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე ეტაპის გაუვლელობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტებიდან შეარჩიოს სხვა პროექტი, ან/და გამოაცხადოს ხელახალი კონკურსი;

5.3. პროექტის ექსპერტი არ შეიძლება იყოს პირი:

ა) რომელიც არის კონკურსის მონაწილე;

ბ) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია პროექტის ძირითად ან დამხმარე პერსონალთან, ან მონაწილეობს მასთან სხვა რომელიმე პროექტში;

გ) რომელიც არის პროექტში მონაწილე პირის ნათესავი (პირდაპირი ხაზის ნათესავი; მეუღლე, მეუღლის და-ძმა და მისი პირდაპირი ხაზის ნათესავი; აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა; და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები);

დ) რომელმაც შესაძლოა, უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

ე) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია.

5.4. ამ მუხლის 5.1.–ის „გ" პუნქტით გათვალისწინებული პირი (ექსპერტი) ვალდებულია, რექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებებისა და თვითაცილების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ცნობილი გახდება, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, იმსჯელოს ამ ექსპერტის შეფასების გაუქმებაზე.

5.5.უნივერსიტეტი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

**მუხლი 6. საკონკურსო განაცხადის წარდგენის პირობები და დოკუმენტაცია:**

6.1. განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით, ქართულ ენაზე 2 (ორ) ეგზემპლარად.

6.2. განაცხადის ელექტრონული ვერსიის წარმოდგენა სავალდებულოა მყარ დისკზე (კომპაქტ-დისკი);

6.3. **განაცხადის შემოტანისას სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:**

1. გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა (დანართი 2.)
2. განაცხადი (დანართი 3.)
3. საპროექტო წინადადება (დანართი 4.)
4. პროექტის ბიუჯეტი შესაბამისი კალენდარული გეგმით (დანართი 5.)
5. პროექტში მონაწილეთა (ძირითადი და დამხმარე პერსონალის) სია და მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოთა აღწერილობა
6. პროექტში თითოეული მონაწილის **CV** (დანართი 7.)
7. მონაწილეთა წერილობითი თანხმობა პროექტში მონაწილეობის შესახებ (დანართი 6.)
8. პროექტში მონაწილე სტუდენტთა ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ)
9. პროექტში მონაწილეთა პირადობის მოწმობის ასლ(ებ)ი;
10. თანადაფინანსების შემთხვევაში, მისი დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი (დოკუმენტში უნდა მიეთითოს თანადაფინანსების მოცულობა).

6.4. აღნიშნული მუხლით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია (გარდა,,1" ქვეპუნქტისა - ,,განცხადება"), წარმოდგენილი უნდა იქნეს უნივერსიტეტის კანცელარიაში დალუქული კონვერტით;

6.5. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დალუქულ კონვერტებთან ერთად უნივერსიტეტის კანცელარიის მიერ, საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულების შემდგომ, განსახილველად გადაეცემა აკადემიური საბჭოს;

6.6.კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით წარმოდგენილი განცხადება განხილვას არ ექვემდებარება.

**მუხლი 7. საგრანტო ხელშეკრულების პირობები**

7.1. საგრანტო ხელშეკრულება ფორმდება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად;

7.2. აკადემიური საბჭოს მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტ(ებ)ის წარმომადგენლობით საბჭოზე დამტკიცების შემდეგ უნივერსიტეტი პროექტებში მონაწილე პერსონალთან უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებათა გაფორმებას, რომელშიც გაიწერება ურთიერთვალდებულებების დეტალური პირობები;

7.3. საგრანტო ხელშეკრულებას ხელს აწერს ორივე მხარის წარმომადგენელი: ერთი მხრივ, უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხოლო, მეორე მხრივ, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი;
*(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი 13 21.09.2018)*

7.4. პროექტის განხორციელება უნდა დაექვემდებაროს ხელმოწერილი ხელშეკრულების პირობებს;
7.5. საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროექტის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნილი ცვლილება დაკავშირებული უნდა იყოს პროექტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან;
*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

7.6. ხელშეკრულების თანახმად, გრანტის მიმღები ვალდებულია გრანტთან დაკავშირებული პირველადი საბუთების ფინანსური აღრიცხვა აწარმოოს სხვა დოკუმენტაციისგან განცალკევებით;

7.6. გრანტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის წარმოება სავალდებულოა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.7. პროექტის ფარგლებში შექმნილი გამოგონების დაპატენტების უფლება ეკუთვნით უნივერსიტეტსა და გრანტის მიმღებს. შესაბამისად, უნივერსიტეტს წარმოეშობა პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები. პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების გამოყენებიდან მიღებული შემოსავლის პროცენტულობა განისაზღვრება უნივერსიტეტსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, მაგრამ უნივერსიტეტი მიიღებს აღნიშნული შემოსავლის არანაკლებ 50%-ს;

7.8. გრანტის მიმღებს ეკრძალება პროექტის ფარგლებში შექმნილ ნაწარმოებზე არსებული განსაკუთრებული უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი ფორმით გადაცემა მესამე პირისათვის ნაწარმოების შექმნიდან 5 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ამასთან, ნაწარმოების გამოყენებიდან მიღებული შემოსავლის პროცენტულობა განისაზღვრება უნივერსიტეტსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით (ტერმინი „ნაწარმოები“ აქ გულისხმობს წიგნს, ბროშურას, კომპიუტერულ პროგრამას, რუკას, გეგმას, ესკიზს, ილუსტრაციას, თარგმანს,

კრებულს, ენციკლოპედიას, ანთოლოგიას, მონაცემთა ბაზას და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა სახის ნაშრომებს).

7.9. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, გრანტის მიმღების მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არა უგვიანეს **20** დღით ადრე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება. საანგარიშო წლის პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებები დასაშვებია პროექტის მიმდინარე წლის საერთო ბიუჯეტის **5%**-ის ფარგლებში.

7.10. გრანტის დაფინანსება განხორციელდება ეტაპობრივად, პროექტის ღირებულების, ხანგრძლივობისა და ჩატარებული სამუშაოების გათვალისწინებით.

**მუხლი 8. საკონკურსო პროექტების ფორმატი**

8.1. საგრანტო პროექტ(ებ)ის დაფინანსება ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული მოცულობის ფარგლებში უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გათვალისწინებით;

8.2. საგრანტო კონკურსი შესაძლებელია გამოცხადდეს ერთჯერადად ან ეტაპობრივად;

8.3. დასაფინანსებელი პროექტის ვადა უნდა იყოს არანაკლებ 6 (ექვსი) და არაუმეტეს 24 (ოცდაოთხი) თვისა;
*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

8. 4. პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი ხარჯები უნდა აისახოს ხარჯვის კატეგორიაში „ზედნადები ხარჯები“. ზედნადები ხარჯების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მოთხოვნილი თანხის 10%–ს;

8.5. პროექტის პერსონალის მიერ გაწეული სამუშაო ანაზღაურებადია. ძირითადი და დამხმარე პერსონალის თითოეული მონაწილის ყოველთვიური ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარს;
*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

8.6. პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია, გამოსცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი (აქტები) ამ დებულების აღსრულების მიზნით.

**მუხლი 9. პროექტის ბიუჯეტი**

9.1. პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:
ა) ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურება

ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება

გ) სამივლინებო ხარჯები. განისაზღვრება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად;

დ) საქონელი და მომსახურება: კვლევასთან (პროექტთან) დაკავშირებული მომსახურების ხარჯი, ასევე 500 ლარზე ნაკლები ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით, მრავალჯერად გამოყენების ტექნიკა, ინვენტარი და მოწყობილობა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებული ხარჯები;

ე) კაპიტალური ხარჯები: სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის, საოფისე ტექნიკის, კომპიუტერების, ასლის გადამღები აპარატურის, პრინტერის, ა.შ., სხვა სამეცნიერო მოწყობილობების, კვლევისთვის აუცილებელი ფოტო, ვიდეო და სხვა ციფრული ტექნიკის (მობილური ტელეფონების გარდა) და სხვა ძირითადი აქტივების შეძენის ხარჯი, რომელთა საექსპლუატაციო ვადა აღემატება 1 წელს, ხოლო ერთეულის ღირებულება აღემატება 500 ლარს და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება პროექტის დასრულების შემდეგაც;

ვ) ზედნადები ხარჯები: პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საჭირო გასაწევი ხარჯები, რომელიც შეადგენს უნივერსიტეტიდან მოთხოვნილი დაფინანსების არაუმეტეს 10%-ს. იგი ხმარდება პროექტის შესრულების უზრუნველყოფას, გაწეულ კომუნალურ (სატელეფონო მომსახურების, ელექტროენერგიის, წყალმომარაგების, გათბობის) დანახარჯებს, გრანტით შეძენილი ძირითადი საშუალებების ტრანსპორტირებას, შენობა - ნაგებობების დაცვასა და მოვლა-დასუფთავებაზე გაწეულ (მათ შორის, შრომით) დანახარჯებს, ოფისის (გრანტის საფინანსო-საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების ბლანკების, საკანცელარიო ნივთების, და სხვა) დანახარჯებს, ბანკის მომსახურების ხარჯებს, აგრეთვე, ადმინისტრაციული მომსახურებისათვის გაწეულ შრომითი დანახარჯებს (ბუღალტრის ხელფასი).

10.2. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.

**მუხლი 10. საგრანტო პროექტების შესრულების მონიტორინგი, პროექტის დაფინანსების შეჩერება, შეწყვეტა, დასრულება**

*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

10.1. პროექტის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს (პროგრამული და ფინანსური) აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების, აგრეთვე,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე წელიწადში ორჯერ (ექვს თვეში ერთხელ) წარადგენს პროექტის ხელმძღვანელი. საკონკურსო პროექტი უნდა ითვალისწინებდეს შედეგების საპრეზენტაციო ღონისძიებებს;

10.2. რექტორი უფლებამოსილია, აუცილებლობის შემთხვევაში, მონიტორინგის მიზნით, ბრძანებით შექმნას სპეციალური კომისია;

10.3. შუალედური და საბოლოო ანგარიშის განხილვისას, პროექტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა;
*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

10.4. საგრანტო პროექტის დაფინანსება შეიძლება შეწყდეს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ამ მუხლის მე-10.4 პუნქტის შესაბამისად ან პროექტის ხელმძღვანელის ინიციატივით;

10.5. პროექტის ამოცანების ან/და საგრანტო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო პროექტის პროგრამული ანგარიშის განხილვის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების (ფინანსურ ანგარიშთან დაკავშირებით) საფუძველზე, უფლებამოსილია, შეაჩეროს ან/და შეწყვიტოს პროექტის საგრანტო დაფინანსება. დაფინანსების შეჩერების შემთხვევაში, გადაწყვეტილებაში მიეთითება ის პირობები და ვადები, რომელთა შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელია დაფინანსების განახლება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში – შეწყვეტა. თუ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის ან პროექტის განხორციელებისას გაირკვევა, რომ პროექტი შეიცავს ყალბ ინფორმაციას, მონაწილეებს იმავე პროექტზე დაფინანსება მიღებული აქვთ სხვა წყაროებიდან, ან გამოვლინდება სამეცნიერო ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები, უნივერსიტეტი არ აფორმებს ან წყვეტს დადებულ საგრანტო ხელშეკრულებას;

10.6. საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონება საკუთრებაში გადაეცემა უნივერსიტეტს;

10.7. გრანტის შეწყვეტის ან პროექტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა, გრანტის მიმღები ვალდებულია შესაბამის სახაზინო ანგარიშზე დააბრუნოს არამიზნობრივად დახარჯული თანხა .
*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

10.8. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან;

10.9. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმებას

10.10. უნივერსიტეტის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:
ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) გადახარჯვად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით, იმ შემთხვევაში, თუ გადახარჯულ მუხლში მომავალი ტრანშით ჩასარიცხი თანხა აღემატება ან ტოლია სხვა მუხლიდან გადახარჯული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის გამოყენებულ რესურსს, გადახარჯვა არ ჩაითვლება ხარვეზად და არ წარმოადგენს პროექტის შეჩერების საფუძველს;

დ) ნაშთად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლოა, გაიხარჯოს მომდევნო საანგარიშო პერიოდ(ებ)ში;

10.11. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, დასრულებული საგრანტო პროექტი შეაფასებინოს შესაბამისი დარგის ექსპერტებს, რომლებიც დაადგენენ საგრანტო პროექტის განხორციელებისას შესრულებული სამუშაოების შესაბამისობას დაგეგმილ ამოცანებთან;

10.12. პროექტის ბოლო საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ 10 კალენდარული დღის განმავლობაში, არგუმენტირებული დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის ხანგრძლივობის მაქსიმუმ 1 (ერთი) წლით გაგრძელების შესახებ დამატებითი დაფინანსების გარეშე;
*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

10.13. საგრანტო პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ საგრანტო პროექტის ფარგლებში გადარიცხულ თანხაზე პროექტის დახურვის მომენტში წარდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

**დანართი 1.**

*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

## პროექტების შეფასების კრიტერიუმები:

| | კრიტერიუმები | დიაპაზონი (მაქსიმუმ 70 ქულა) | ქულა | კომენტარი |
|---|---|---|---|---|
| **1.** | კვლევის მიზანი, სიახლე, აქტუალობა, პრობლემის ფორმულირება, ეთოკურობა (პროექტის საფუძვლიანად დასაბუთება) | 0-15 | | |
| **2.** | კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო-პრაქტიკული ღირებულება (რამდენად დაეხმარება პროექტი არჩეული მიმართულებ(ებ)ის განვითარებას; რამდენადაა მდგრადობის შესაძლებლობა - კომერციალიზაცია / ინტერნაციონალიზაცია / სასწავლო პროცესში ინტეგრირება / რეგიონისათვის საჭიროება) | 0-15 | | |
| 3. | დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგია და მოცულობის შესაბამისობა პროექტის ვადებთან, მიზნებსა და ამოცანებთან | 0-10 | | |
| 4. | პროექტის ხელმძღვანელისა და პერსონალის მიღწევები და შესაბამისობა პროექტით დაგეგმილ კვლევასთან; პასუხისმგებლობების განაწილება კომპეტენციების გათვალისწინებით. | 0-10 | | |
| 5. | პროექტის განხორციელების გეგმა–გრაფიკის (ეტაპების, ვადებისა და განხორციელების გზების) შესაბამისობა კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან | 0-10 | | |
| 6. | პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან | 0-5 | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7. | პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსის პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობა (კვლევის საგნის, ჩატარების ადგილის რეალობასთან შესაბამისობა) | 0-5 | | |

| # | ქულა/შეფასება | განმარტება |
|---|---|---|
| 1. | საუკეთესო 10–9 | გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო ხარისხის მქონე პროექტია, რომელიც წარმატებით/საუკეთესოდ პასუხობს კრიტერიუმს. ხარვეზ(ებ)ი არაარსებითი და უმნიშვნელოა; არ ეხება სამეცნიერო პოტენციალს |
| 2. | ძალიან კარგი 8–7 | პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. იკვეთება ორიგინალობა და უპირატესობა, თუმცა, შესაძლებელია გარკვეული დახვეწა. |
| 3. | კარგი 6–5 | პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთებულია დამაკმაყოფილებელი ხარისხით, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება. |
| 4. | საშუალო 4–3 | პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები, არადამაკმაყოფილებელი ხარისხისაა დასაბუთება. |
| 5. | სუსტი 2–1 | პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, შეინიშნება სერიოზული არსებითი სუსტი მხარეები; შეფასება რთულია ბუნდოვანი ან შეუსაბამო ინფორმაციის გამო. |
| 6. | ცუდი 0 | პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო. |

**უნივერსიტეტის რექტორს**

_____

_____

(მიუთითეთ უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობა)

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ ---------- დარგობრივი მიმართულებით სამეცნიერო-კვლევით პროექტს დაფინანსების მოპოვების მიზნით ---------- გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

ამავე დროს, მოგახსენებთ, რომ გავეცანი იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ" დებულებას. ვაღიარებ დებულების მოთხოვნათა სავალდებულო დაცვას და შემომაქვს თანდართული განაცხადი.

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთან, თანახმა ვარ აკადემიურმა საბჭომ ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე.

ვაცნობიერებ, რომ ნებისმიერი სახის ყალბი მონაცემის ან არაკეთილსინდისიერების აღმოჩენის შემთხვევაში ჩემი განაცხადი საკონკურსოდ არ განიხილება.

განცხადებას თან ერთვის:

1. გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ---- – – გვ.
2. განაცხადი – – – გვ.
3. საპროექტო წინადადება – – –გვ.
4. პროექტის ბიუჯეტი შესაბამისი კალენდარული გეგმით ----გვ.
5. პროექტში მონაწილეთა (პერსონალის) სია, მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოთა აღწერილობა და CV-ები -----გვ.
6. მონაწილეთა წერილობითი თანხმობა პროექტში მონაწილეობის შესახებ- ---გვ.
7. პროექტში მონაწილე სტუდენტთა ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ) - – – გვ.
8. პროექტში მონაწილეთა (პერსონალის) პირადობის მოწმობ(ებ)ის ასლი-- – – გვ.
9. თანადაფინანსების შემთხვევაში, მისი დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი (დოკუმენტში უნდა მიეთითოს თანადაფინანსების მოცულობა) – –- გვ.

სულ ფურცლების რაოდენობა ——

პატივისცემით,

_____(ხელმოწერა)_____

ტელეფონის ნომერი: _____

თარიღი: – –/ – –/20 – წ.

**განაცხადის ფორმა**

1. სახელი, გვარი ----------

2. დაბადების წელი თვე, რიცხვი, ადგილი----------

3.საცხოვრებელი ადგილის სრული საფოსტო მისამართი (ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) ----------

4. საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონები: ბინის, სამსახურის, ფაქსი, მობილური------

---

5. ელექტრონული ფოსტა----------

6. აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი----------

7. ამჟამინდელი საქმიანობა (ორგანიზაცია, თანამდებობა)----------

8. პროექტის სახელწოდება----------

9. მეცნიერის ინტერესი და მოლოდინი პროექტიდან გამომდინარე ----------

---

10. იმ ორგანიზაცი(ებ)ის სრული დასახელება, სადაც დაგეგმილია კვლევები (მისამართი, ვებ-გვერდი) ----------

---

11. თანადამფინანსებელი და მისი რეკვიზიტები----------

12. პროექტის ვადები ----------

**საპროექტო წინადადება**

გთხოვთ, საპროექტო წინადადება წარმოადგინოთ ქვემოთ მოტანილი თანამიმდევრობით
(არაუმეტეს 5 გვერდისა, შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა - 11, ინტერვალი- 1,5).

1. პროექტის სახელწოდება;
2. კვლევის აქტუალობის, სიახლის დასაბუთება;

*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

3. კვლევის მიზნობრიობა, დასახული ამოცან(ებ)ის აღწერილობა;
4. კვლევის აუცილებლობის დასაბუთება;
5. კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მისი პრაქტიკაში გამოყენების დასაბუთება;
6. კვლევის მეთოდოლოგია, მიდგომები;
7. კვლევის სამომავლო განვითარების გეგმა (მიუთითეთ, კვლევის სამომავლო კომერციალიზაციის და სხვა შესაძლებლობები);
8. პროგრამის მნიშვნელობა აპლიკანტ(ებ)ის პროფესიული განვითარებისათვის.
9. სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მიგაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანი იქნება პროექტის შეფასებისათვის

# ბიუჯეტი

**ხარჯვის**
**კატეგორია**

მოთხოვნილი თანხა ---------- (ლარი)

- სულ თესაუ-დან მოთხოვნილი თანხა ლარებში: ----------
- დაფინანსების სხვა წყაროები
  (თანადაფინანსება) ----------
- თანადამფინასებელი პირი
  ან ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში)
  1.----------
  2.----------
  სულ თანადაფინანსება ლარებში: ----------

**სულ:** ———————— (ლარი)

## ბიუჯეტის კალენდარული გეგმა

**დანართი 6.**

*(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #2 19.02.2025 )*

**უნივერსიტეტის რექტორს**

_____

_____

(მიუთითეთ უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობა)

**თანხმობის წერილი**

თანახმა ვარ, მონაწილეობა მივიღო ---------- დარგობრივი მიმართულებით სამეცნიერო კვლევაში, რომელიც წარმოდგენილია _____ ხელმძღვანელობით.

ამასთანავე, ვადასტურებ, რომ, დაფინანსების შემთხვევაში, უარს ვაცხადებ თესაუს მიერ დაფინანსებულ ორზე მეტ სამეცნიერო პროექტში მონაწილეობაზე.

პატივისცემით,

_____(ხელმოწერა)_____

ტელეფონის ნომერი: _____
თარიღი: – –/ – –/20— წ.

# პროფესიული ბიოგრაფია
# Curriculum Vitae

**სახელი, გვარი:** ------

მისამართი: ----------

ტელეფონი: ----------

ელექტრონული ფოსტის მისამრთი: ----------

დაბადების თარიღი, ადგილი: ----------

## 1. განათლება
**(საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონები)**

წლები ---- უმაღლესი სასწავლებლის დასახელება ----------

სპეციალობა ----------

სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი ----------

## 2. პროფესიული (სამუშაო) გამოცდილება
**(საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონები)**

წლები---------- თანამდებობა----------

დეპარტამენტის/განყოფილების დასახელება ----------

ორგანიზაციის დასახელება ----------

## 3. სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა
**(ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში)**

წელი ---------- პროექტის სახელწოდება ----------

როლი პროექტში ----------

გრანტის დამფინანსებელი ----------

## 4. პროფესიული ჯილდოები
**(ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში)**

წელი---------- ჯილდოს სახე ----------

დამსახურება ----------

ორგანიზაციის დასახელება ----------

**5. გამოგონებების, პატენტების ჩამონათვალი თქვენი შეხედულებისამებრ**
**(ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში)**

წელი---------- გამოგონების, პატენტის დასახელება, რეკვიზიტი----------

პატენტის გამცემი უწყება

**6. პუბლიკაციების რაოდენობა სულ:** _____, მათ შორის უკანასკნელ **ხუთ** წელიწადში: _____,

პუბლიკაციების რაოდენობა:

- ✓ იმპაქტ-ფაქტორიან -------- ,
- ✓ რეფერირებად ----------,
- ✓ საზღვარგარეთის _____,
- ✓ ადგილობრივ _____ სამეცნიერო ჟურნალებში

ციტირების ინდექსი: _____ **(ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში),**

პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 5-ისა) თქვენი შეხედულებისამებრ:

წელი ----------

პუბლიკაციის დასახელება ----------

პუბლიკაციის სახე (სტატია, მონოგრაფია, სახელმძღვანელო და სხვა)

გამომცემლობა _____

**7. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა**
(არაუმეტეს 5-ისა)

წელი---------- ღონისძიების დასახელება ----------

მოხსენების სათაური ----------

ღონისძიების ჩატარების ადგილი ----------

**8. სხვა აქტივობები, რომელიც მიგაჩნიათ, რომ შესაძლებელია შეფასებისას იქნეს გათვალისწინებული** (აღნიშნეთ შესაბამისი გრაფა)

**9. სასურველია, მიუთითოთ რეკომენდატორ(ებ)ის საკონტაქტო ინფორმაცია**

**1.** სახელი, გვარი----------

სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, თანამდებობა----------

სამუშაო ადგილი----------

საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ.,ელ.ფოსტა)----------

**2.** სახელი, გვარი----------

სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, თანამდებობა----------

სამუშაო ადგილი----------

საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ.,ელ.ფოსტა)----------

**წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,**

**პროფესორი :** **/მ. ღარიბაშვილი/**

**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის**
**თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1
2200 თელავი, საქართველო
+995 350 27 24 01
info@tesau.edu.ge

17/01/2025

MES 7 25 0000027718

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
ბ-ნ შალვა ჭკადუას
ამავე უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ
საქმეთა სამსახურის უფროსის თამარ ასლანიშვილის

სამსახურებრივი ბარათი

მოგახსენებთ, რომ უნივერსიტეტში იმყოფება ჯორჯ მეისონის პროფესორი შერონ სკანელი, რომელიც მთელი სემესტრის განმავლობაში უნივერსიტეტის სტუდენტებს უტარებდათ კურსებს მეწარმეობის მიმართულებით. კურსი წარმატებით დაასრულა მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის ორმა სტუდენტმა, ნინო სანდოშვილმა და მარიამ ღარიბაშვილმა.

გთხოვთ, ამ წარმატებული სტუდენტებისთვის ჯილდოდ გამოყოთ სამგზავრო ბარათების თანხა, თითოეული სტუდენტისთვის 200 ლარის ოდენობით, სულ 400 ლარი, რომელსაც საზოგადოებრივ ტრანსპორტში გამოიყენებენ 2024-2025 წლის მეორე სასწავლო სემესტრში.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ
საქმეთა სამსახური
სამსახურის უფროსი
ასლანიშვილი თამარ